



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის
შესახებ

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
„გამოყენებითი გენეტიკა“ (ინგლისურენოვანი)

სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ): 1-2.02.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი: 7.02.2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	გამოყენებითი გენეტიკა (ინგლისურენოვანი)
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	მეცნიერების მაგისტრი გამოყენებით გენეტიკაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0511 ბიოლოგია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული №33, 21.02.2018

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია ღაჭავაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაგდა ალანია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ია ნაცვლიშვილი - სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან ციცქიშვილი - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლანა ბოკუჩავა - ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ინგლისურენოვანმა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ „გამოყენებითი გენეტიკა“ აკრედიტაცია მოიპოვა 2018 წელს. პროგრამა თავისი შინაარსით და კვლევითი კომპონენტით უზრუნველყოფს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად, მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებას გამოყენებით გენეტიკაში.

რეაკრედიტაციისთვის წარმოდგენილ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში „გამოყენებითი გენეტიკა“ განახლდა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები, პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო კურსების სილაბუსები და სასწავლო რესურსები დარგში თანამედროვე მიღწევების, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით. პროგრამაზე მუშაობის პროცესში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე. მნიშვნელოვანი იყო უცხოელი კოლეგის - ბონის ზოოლოგიური კვლევითი მუზეუმის და ევოლუციური ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის პროფესორ ბერნარდ მისოფის მიერ გაკეთებული გარე შეფასება.

ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი გენეტიკა“ მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური მკვლევრები გამოყენებითი გენეტიკის დარგში, რომლებიც დნმ-ის კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით შეძლებენ ბიომრავალფეროვნების, ეკოლოგიის, ბიოლოგიის, სასოფლო-სამეურნეო, ასევე მედიცინის სფეროში აქტუალური საკითხის შესწავლას ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დაცვით; მოლეკულურ-გენეტიკური მეთოდებით მიღებული მონაცემების სრულყოფილ დამუშავებას და შედეგების ინტერპრეტაციას დასმული ამოცანიდან გამომდინარე და სხვა.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი გენეტიკა“ სტრუქტურა შედგება სავალდებულო, სავალდებულო-არჩევითი, არჩევითი სასწავლო კურსებისგან და სამაგისტრო ნაშრომისგან. პროგრამისთვის განკუთვნილი 120 კრედიტი გადანაწილებულია მის შემადგენელ კომპონენტებზე შემდეგი სახით:

- სავალდებულო სასწავლო კურსები - 42 კრედიტი
- სავალდებულო არჩევითი კურსები - 36 კრედიტი
- არჩევითი სასწავლო კურსები - მაქ. 12 კრედიტი
- სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა „მეცნიერების მაგისტრი გამოყენებით გენეტიკაში“.

მეცნიერების მაგისტრი გამოყენებით გენეტიკაში შეიძლება დასაქმდეს ლაბორატორიებში, რომლებიც იყენებენ ბიოტექნოლოგიას სამრეწველო, მედიცინის და სოფლის მეურნეობის პრობლემების გადასაჭრელად; მენეჯერულ პოზიციაზე სამთავრობო ან კერძო სექტორის ისეთ სტრუქტურებში, სადაც გამოიყენება მოლეკულურ-გენეტიკური კვლევა, კრიმინალისტიკაში, საკვები პროდუქტების მეცნიერებაში, საზოგადოებრივ ჯანდაცვაში, ან გარემოსდაცვით სფეროში და სხვა; ასევე, მრეწველობაში, ლაბორატორიაში და მენეჯერულ პოზიციებზე ბიოტექნოლოგიურ ინდუსტრიაში.

პროგრამა ხორციელდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრირებით.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (MES 0 22 0000066414) მიხედვით ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი გენეტიკა“ სააკრედიტაციო შეფასება აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად განხორციელდა 1 და 2 თებერვალს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასება უსდ-ში ვიზიტით. ვიზიტამდე დისტანციურად ჩატარა წინამოსამზადებელი შეხვედრა და ჯგუფის წევრებმა ერთმანეთში გაცვალეს უსდ-ს მიერ გადმოგზავნილი მასალების გაცნობის საფუძველზე გამოკვეთილი გარემოებები, ჩამოაყალიბეს საკითხები და სავარაუდო კითხვების ჩამონათვალი/საინტერესო საკითხები, რომლებიც გარკვეული იქნებოდა ვიზიტის დღეს სხვადასხვა ჯგუფებთან გასაუბრებისას, ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ და მოხდა ფუნქციების გადანაწილება ჯგუფის წევრებს შორის.

აკრედიტაციის ექსპერტების ვიზიტი სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა დღის წესრიგის დაცვით ექსპერტთა სრული შემადგენლობით და დისტანციურ რეჟიმში (Zoom-ის გამოყენებით). სააკრედიტაციო ვიზიტი წარმართა ყოველგვარი ხარვეზების გარეშე, ჩატარდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა და უსდ-ს მხრიდან უზრუნველყოფილი იყო პროცესში

მონაწილე ყველა პირის ჩართულობა, რათა ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონოდა მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად. ექსპერტები უსდ-ში ვიზიტით შეფასდა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1: საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

1.2. რეკომენდებულია პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკის აგება.

1.2. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგებში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და ამის საფუძველზე გადამოწმდეს კურიკულუმის რუკა და სამიზნე ნიშნულებთან პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

2.3. სასურველია ცოდნა და გაცნობიერების ნაწილში პროგრამის სწავლის შედეგის ფორმულირების გადახედვა და რეფორმულირება მათი გაზომვადობის გაუმჯობესების მიზნით.

2.6. სასურველია სასწავლო კურსებში დეტალურად გაიწეროს შეფასების რუბრიკები თითოეულ კომპონენტთან მიმართებაში.

3.1. სასურველია პროგრამის ფარგლებში მეტი გაცვლითი პროგრამის ორგანიზება.

4.1. სასურველია პროგრამის განმახორციელებელი ღვაწლმოსილი პედაგოგების მიერ ახალგაზრდა სამეცნირო-პედაგოგიური კადრების ასისტენტობის შესაძლებლობების ინტენსიურად გამოყენება ქვეყანაში მაღალკვალიფიციური სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების სრულყოფის მიზნით.

4.3. სასურველია სახელმძღვანელოები, რომლებიც ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ბეჭდვითი ვერსიის სახით, ხელმისაწვდომი იყოს ელექტრონული ფორმითაც.

5.1. სასურველია თვითშეფასების ანგარიშში ფართოდ იქნეს წარმოდგენილი ანალიტიკური ნაწილი.

5.2. სასურველია დაწესებულების მიერ დარგის სპეციალისტებიდან, უცხოური/ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მისაღები გარე შეფასების წინასწარ განსაზღვრული ფორმის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შეფასების მიზნით.

5.3. სასურველია პროგრამის პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში გათვალისწინებული იქნას სწავლის შედეგის მიღწევის დონისა და სასწავლო კურსების სირთულის მიხედვით დიფერენცირება. ამასთან, პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევის შესაფასებლად განისაზღვროს არა სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება, არამედ შეფასების კონკრეტული მეთოდით განსაზღვრულ აქტივობაში მიღებული შეფასება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

რეაკრედიტაციის მიზნებისთვის წარდგენილ ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაში „გამოყენებითი გენეტიკა“ განახლდა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები თანამედროვე ტენდენციების, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის, სტუდენტების და კურსდამთავრებულების, და დამსაქმებლების მოსაზრებების გათვალისწინებით. სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, განახლდა პროგრამის სტრუქტურა და შემუშავდა პროგრამის კურიკულუმის რუკა, რომელიც მკაფიოს ხდის სწავლის შედეგების კავშირს პროგრამის შემადგენელ კომპონენტებთან. გადაიხედა სასწავლო კურსებში გათვალისწინებული საათობრივი დატვირთვა, სილაბუსებში მოხდა შინაარსის განახლება

თანამედროვე ტენდენციებისა და დამსაქმებლების მოთხოვნების გათვალისწინებით. დაემატა სასწავლო კურსები ბიონფორმატიკის, ბიოქიმიის მიმართულებით. გამრავალფეროვნდა და გაუმჯობესდა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი. კერძოდ, უნივერსიტეტის სახსრებით განახლდა გენეტიკური ანალიზატორი ABI Genetic Analyzer, მიმდინარე კვლევითი გრანტების დაფინანსებით შეძენილია აღჭურვილობა გენომური კვლევებისთვის - ხელსაწყო Illumina Miniseq მეორე თაობის გენეტიკური კვლევისთვის, შეძენილია დამატებითი ცენტრიფუგები და PCR დანადგარები, აღიჭურვა დამატებითი გენომური ლაბორატორია.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

<p>1.1 პროგრამის მიზნები</p> <p>პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის “გამოყენებითი გენეტიკა” პროგრამის მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული და სრულად შეესაბამება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სტრატეგიას. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საერთაშორისო კვლევებს, ასევე რეგიონალურ, ნაციონალურ და ლოკალურ კონტექსტებს (მათ შორის საქართველოს ბიომრავალფეროვნების გენეტიკურ შესწავლას).</p> <p>პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური მკვლევრები გამოყენებითი გენეტიკის დარგში, რომლებიც დნმ-ის კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით შეძლებენ ბიომრავალფეროვნების, ეკოლოგიის, ბიოლოგიის, სასოფლო-სამეურნეო, ასევე მედიცინის სფეროში აქტუალური საკითხის შესწავლას ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დაცვით; შეძლებენ მოლეკულურ-გენეტიკური მეთოდებით მიღებული მონაცემების სრულყოფილ დამუშავებას და შედეგების ინტერპრეტაციას დასმული ამოცანიდან გამომდინარე; შეძლებენ ეფექტურ კომუნიკაციას პროფესიულ და აკადემიურ საზოგადოებასთან; აღჭურვილნი იქნებიან ანალიტიკური და გადაწყვეტილებების ავტონომიურად მიღების უნარებით.</p> <p>შრომის ბაზრის მოთხოვნებზე პროგრამის უკეთ მორგების მიზნით ჩატარებულია სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციების მქონე კადრების მოთხოვნადობის ანალიზი და ფოკუს-ჯგუფი პოტენციურ დამსაქმებლებთან. აგრეთვე დამსაქმებლებთან განხილულია პროგრამის კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფის შედეგები. როგორც დამსაქმებლებისგან, ასევე კურსდამთავრებულებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე და დარგში სწავლების საერთაშორისო ტენდენციების გათვალისწინებით, პროგრამის მიზნებში პრიორიტეტულადაა ჩათვლილი ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ დნმ-თან მანიპულაციის პროცესში უახლესი მეთოდების და ინსტრუმენტების გამოყენებას, ბიოუსაფრთხოების და ბიოეთიკის თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით.</p> <p>პროგრამაზე საერთაშორისო სტუდენტების მოთხოვნადობის ზრდა ყოველწლიურად მიუთითებს, რომ სამაგისტრო პროგრამა შესაბამისობაშია დარგისა და დასაქმების ბაზარზე არსებულ მოთხოვნასთან.</p> <p>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა “გამოყენებითი გენეტიკა” ორიენტირებულია იმ პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებაზე, რომელიც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულების დასაქმებას სხვადასხვა პროფილის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, ასევე ეპიდემიოლოგიურ, ფარმაცევტულ, დიაგნოსტიკურ, კრიმინალისტურ ან</p>

<p>სხვა ლაბორატორიაში, სადაც გამოიყენება გენეტიკური ექსპერტიზა; ასევე, სასოფლო მეურნეობის, კონსერვაციული ბიოლოგიის ან ეკოლოგიის დარგში გენეტიკური ექსპერტიზის კუთხით.</p> <p>პროგრამის ორიენტაციას დასაქმების ბაზარზე აძლიერებს ის გარემოება, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი (მათ შორის უცხოელი ხელმძღვანელი) თავად აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო დონის კვლევით პროექტებში (როგორცაა მაგალითად, კავკასიის სიცოცხლის ბარკოდინგის პროექტი (CaBOL) და ფოლქსვაგენის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი - "გენომური კვლევების ხელშეწყობა") და კარგად იცნობს სფეროში არსებულ თანამედროვე ტენდენციებსა და გამოწვევებს. აღსანიშნავია, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ეკოლოგიის, ზოოლოგიის, ბოტანიკის კვლევითი ინსტიტუტები, რომელიც წარმოადგენენ საქართველოში აღნიშნულ დარგში სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევების ერთ-ერთ მოწინავე ცენტრებს და ხშირად საექსპერტო საქმიანობას ეწევიან (მათ შორის სამთავრობო სტრუქტურებისთვის).</p> <p>ინტერვიუებმა დადასტურა, რომ პროგრამის ხელმძღვანელებმა პროგრამის განახლებული მიზნები ჩამოაყალიბა თვითშეფასების ჯგუფთან და პროგრამის სამუშაო ჯგუფთან მჭიდრო კავშირში შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილების გაანალიზების საფუძველზე. პროგრამის მიზნების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია • საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა • საგანმანათლებლო პროგრამა • სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები • კურსდამთავრებულების ფოკუს-ჯგუფის ანგარიში • პროგრამის შრომით ბაზარზე მოთხოვნადობის ანალიზი • დამსაქმებლების ფოკუს-ჯგუფის ანგარიში • საერთაშორისო ანალოგები • ინტერვიუების შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამის სწავლის შედეგები სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მეშვიდე დონის აღმწერთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ინტერვიუებით დადასტურდა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების განახლება განხორციელდა ეტაპობრივად და ამ პროცესში უზრუნველყოფილი იყო დაინტერესებული მხარეების - პროგრამაში</p>

ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის, პოტენციური დამსაქმებლების, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, პროგრამის სტუდენტების და კურსდამთავრებულების ჩართულობა. მნიშვნელოვანია აგრეთვე აღინიშნოს, რომ სწავლის შედეგების ჩამოყალიბების პროცესში გათვალისწინებული იყო საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა და პროგრამის აკადემიური პერსონალის მრავალწლიანი გამოცდილება. განხორციელდა აგრეთვე პროგრამის სწავლის შედეგების გარე შეფასება ბონის უნივერსიტეტის პროფესორის მიერ, რომელიც ამავდროულად არის გერმანიის კანცლერის მრჩეველთა საბჭოს წევრი და ბონის ზოოლოგიური კვლევითი მუზეუმის და ევოლუციური ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი.

პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბებული, არის მიღწევადი, გაზომვადი, რეალისტური და შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. აღნიშნული კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდებოდა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე, რომელიც დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არ არის.

სწავლის შედეგების მიღწევადობა ნათლად არის ასახული კურიკულუმის რუკაში.

პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა განსაზღვრული პერიოდულობით და სამიზნე ნიშნულები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სამიზნე ნიშნულებად აღებულია სასწავლო კურსების თუ სხვა აქტივობების საბოლოო შეფასებები, რაც ამ სისტემის დანერგვის პერიოდისთვის დასაშვებია. როგორც გამოიკვეთა ინტერვიუებიდან სამომავლოდ იგეგმება სამიზნე ნიშნულების მეტად „ჩაშლა“, რაც მისასაღმებელია.

კითხვები გააჩინა სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში V სემესტრმა. ინტერვიუებიდან გაირკვა, რომ V სემესტრში იგულისხმება პროგრამის დასრულების შემდგომი სემესტრი, რაც კარგი იყო გეგმაშიც ყოფილიყო განმარტებული.

უსდ-ში აგრეთვე ფუნქციონირებს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი, რომელიც მოიცავს არაპირდაპირ შეფასებებს - რაოდენობრივ გამოკითხვებს ყველა დაინტერესებულ ჯგუფებთან.

პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით შეგროვებული და გაანალიზებული მონაცემების ასახვა დაგეგმილია სამაგისტრო პროგრამის შიდა თვითშეფასების ანგარიშში.

ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ პროგრამაში სწავლის შედეგების სწორად განსაზღვრისა და შეფასების მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელებს, მის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს კონსულტაციას და დახმარებას უწევდა პროგრამის კურიკულუმის ექსპერტი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. ამასთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა პროგრამის შეფასების საკითხებზე ტრენინგ-მოდული, რომელიც ეყრდნობა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. აღნიშნული ტრენინგ-მოდული ხელმისაწვდომი იყო პროგრამის ადმინისტრატორებისთვის, ხელმძღვანელისთვის და სწავლების პროცესში ჩართული პერსონალისთვის. ტრენინგ მოდულის გარდა, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა ინდივიდუალური კონსულტაციები და რეკომენდაციები გაუწია პროგრამის ხელმძღვანელებს და სამუშაო ჯგუფს პროგრამის სწავლის შედეგების სწორად ჩამოყალიბებასთან და შეფასებასთან დაკავშირებით.

ყოველი ზემოთქმული კარგი საფუძველია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევების შეფასების დანერგვის პროცესი განხორციელდეს სრულყოფილად.

ექსპერტების ჯგუფის მიერ პროგრამის სწავლის შედეგებში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი, ერთ-ერთი სწავლის შედეგი ნაწილობრივ დუბლირებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა და სწავლის შედეგების რუკა
- სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულები და გეგმა
- შრომით ბაზარზე პროგრამის მოთხოვნადობის ანალიზი
- დამსაქმებლის ფოკუს-ჯგუფის ანგარიში
- უცხოელი პროფესორის მიერ გაკეთებული პროგრამის გარე შეფასება
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები
- სტუდენტების კვლევის და კურსდამთავრებულების ფოკუს-ჯგუფის ანგარიშები
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია
- პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, ფორმები და ინსტრუქციები
- აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის სამოქმედო გეგმა

<ul style="list-style-type: none"> საერთაშორისო ანალოგების სია ინტერვიუების შედეგები
რეკომენდაციები: <ul style="list-style-type: none"> რეკომენდებულია პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკის აგება. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგებში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და ამის საფუძველზე გადამოწმდეს კურიკულუმის რუკა და სამიზნე ნიშნულებთან პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</p> <p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „გამოყენებითი გენეტიკა“ დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩარიცხვას. სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობით პროგრამაზე სწავლის მსურველს სასურველია ჰქონდეს ბაკალავრის/ბაკალავრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სასურველია სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების, ან მედიცინის დარგში.</p> <p>ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე საქართველოს მოქალაქის მიღება ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების საფუძველზე, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქე აპლიკანტისთვის, რომელმაც განათლება საქართველოს ფარგლებს გარეთ მიიღო, ჩარიცხვის პროცედურა ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით №224/ნ ბრძანების</p>
--

<p>შესაბამისად (29 დეკემბერი, 2011).</p> <p>ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე აპლიკანტთა მიღების წინაპირობაა შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდის/გასაუბრების გავლა (დისტანციურად საერთაშორისო სტუდენტებისთვის), რომელზეც კანდიდატმა უნდა გამოავლინოს დარგობრივი საფუძვლების ცოდნა, მოტივაცია, კრიტიკული აზროვნება და კომუნიკაციის უნარ-ჩვევები. უსდ-ს გაწერილი აქვს პროგრამაზე მისაღები გამოცდის შეფასების კრიტერიუმები.</p> <p>ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე. აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის საერთაშორისოდ აღიარებული და ვალიდური სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს ენის ფლობას CEFR-ის B2 ან უფრო მაღალ დონეზე. ან ჩააბაროს ინგლისური ენის საუნივერსიტეტო ინსტიტუციური გამოცდა ან ონლაინ ტესტი, რომელიც შეესაბამება CEFR-ის B2 დონეს.</p> <p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები საჯარო და ხელმისაწვდომია. ინფორმაცია პროგრამის მიღების პირობების შესახებ იდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში „მიღება“. გარდა ამისა, დაწესებულება ატარებს მაგისტრანტობის მსურველებთან ონლაინ საინფორმაციო შეხვედრებს და „ღია კარის დღეს“.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი გენეტიკა“ კურიკულუმი • მისაღები გამოცდა და მისი შეფასების სისტემა • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი iliauni.edu.ge • ინტერვიუს შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p>

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „გამოყენებითი გენეტიკა“ შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესისა და პროცედურების გამოყენებით. პროგრამაზე მუშაობისას გათვალისწინებული იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, რომლითაც დადგენილია დეტალური მოთხოვნები პროგრამის შემადგენელ ყველა მნიშვნელოვან ასპექტთან მიმართებაში, უცხოელი კოლეგის მიერ გაკეთებული გარე შეფასება, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა, შედეგად პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ჩამოყალიბდა საბოლოო სახით.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მოთხოვნებს. სწავლების საფეხურის მოთხოვნების შესაბამისად, პროგრამაში თეორიული ცოდნის ტრანსფერთან ერთად აქცენტი კეთდება კვლევითი უნარების, ლაბორატორიული უნარ-ჩვევების და მონაცემთა ანალიზის უნარის განვითარებაზე. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას „მეცნიერების მაგისტრი გამოყენებით გენეტიკაში“.

პროგრამის სტრუქტურა შესაძლებელს ხდის პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას პროგრამაზე მიღების წინაპირობების გათვალისწინებით.

ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი გენეტიკა“ სტრუქტურა შედგება სავალდებულო, სავალდებულო-არჩევითი, არჩევითი სასწავლო კურსებისგან და სამაგისტრო ნაშრომისგან. სავალდებულო-არჩევითი სასწავლო კურსები დაჯგუფებულია ორ ბლოკად: მეთოდური და ცოცხალი სისტემების. პროგრამისთვის განკუთვნილი 120 კრედიტი გადანაწილებულია მის შემადგენელ კომპონენტებზე შემდეგი სახით:

- სავალდებულო სასწავლო კურსები - 42 კრედიტი
- სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები - 36 კრედიტი
- ცოცხალი სისტემების ბლოკი - მინ. 18 კრედიტი
- მეთოდური ბლოკი – მინ. 12 კრედიტი
- არჩევითი სასწავლო კურსები - მაქ. 12 კრედიტი
- სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი

პროგრამის შემადგენელ თითოეულ ბლოკში მოცემულია სასწავლო კურსების გარკვეული რაოდენობა მაგ: ცოცხალი სისტემების ბლოკში - 5, მეთოდურ ბლოკში - 7, რაც სტუდენტს ფართო არჩევანის შესაძლებლობას აძლევს პროგრამის არჩევით სასწავლო კურსებთან (7) ერთად.

პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები თანმიმდევრულად და ლოგიკურადაა დალაგებული. უსდ-ს მიერ წარმოდგენილია სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა. რამდენიმე სასწავლო კურსში განსაზღვრულია წინაპირობები.

პროგრამის მოდიფიცირების პროცესში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა). გათვალისწინებულია შეფასებებით მიღებული რეკომენდაციები/რჩევები. ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელებმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ გარე შეფასებლისა და სხვადასხვა ფოკუს ჯგუფთან ინტერვიუს საფუძველზე მიღებული რჩევები მნიშვნელოვანი იყო პროგრამის განვითარების პროცესში.

უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია (კურიკულუმი) განთავსებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.iliauni.edu.ge

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმები
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები
- სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ფოკუს-ჯგუფების ანგარიშები
- პროგრამის გარე შეფასება
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი iliauni.edu.ge
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.3. სასწავლო კურსი</p> <p>➤ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;</p> <p>➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება სავალდებულო, სავალდებულო-არჩევითი და არჩევითი სასწავლო კურსებისგან. სავალდებულო-არჩევითი სასწავლო კურსები დაჯგუფებულია ორ ბლოკად: მეთოდური და ცოცხალი სისტემების.</p> <p>თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა განსაზღვრულია მისი შინაარსის, მისაღწევი შედეგებისა და დატვირთვის გათვალისწინებით. ყველა სასწავლო კურსი 6 კრედიტიანია და განსხვავებულია სასწავლო კურსებში საკონტაქტო საათების რაოდენობა. თითოეულ სასწავლო კურსში საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.</p> <p>სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულია სასწავლო კურსის დასახელება, ხანგრძლივობა, კრედიტების რაოდენობა, საათების განაწილება, გამახორციელებელი პერსონალი, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები, სწავლების მეთოდები, სასწავლო კურსის მიზანი, ძირითადი თემები სწავლის შედეგები და კოპეტენციები (დარგობრივი და ზოგადი), შეფასების წესი, ლიტერატურა და სხვა რესურსები, თემატიკა კვირების მიხედვით.</p> <p>სასწავლო კურსების მიზნები კავშირშია სწავლის შედეგებთან, სწავლება -სწავლის მეთოდებთან და შეფასების სისტემასთან, ხოლო თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგი კავშირშია პროგრამის მიზანთან. სილაბუსში განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები. სასწავლო კურსების სწავლის შედეგები გაზომვადია, მაგრამ სასურველი იქნებოდა ცოდნა და გაცნობიერების ნაწილში მათი გადახედვა და რეფორმულირება გაზომვადობის გაუმჯობესების მიზნით.</p> <p>სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, ასევე ასახავს დარგში არსებულ მიღწევებს.</p> <p>უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე (ScienceDirect, Scopus, PsycInfo, Heinonline, Clarivate Analytics, ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, Cambridge Journals, DOAJ, ebrary, Oxford Journals და სხვა) ხელმისაწვდომობას, მათ შორის, არასაუნივერსიტეტო ლოკაციებიდან (ნებისმიერი კომპიუტერიდან ელექტრონული ანგარიშის მეშვეობით), რაც შემოწმდა და დადასტურდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დათვალისწინების დროს. სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში ან არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა „არგუსი“.</p> <p>უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სასწავლო კურსების შეფასების მექანიზმი და შესაბამისი კითხვარის გამოყენებით ყოველსემესტრულად ატარებს სტუდენტთაგამოკითხვას, რომელიც ითვალისწინებს კურსის ისეთი ასპექტების შეფასებას, როგორცაკურსის შინაარსი, მოცულობა, სტუდენტთა დატვირთვა და შეფასების სისტემა.გამოკითხვის შედეგები გამოიყენება პროგრამის შემადგენელი კომპონენტების გაუმჯობესებისთვის.</p> <p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები • სწავლის შედეგების რუკა
--

<ul style="list-style-type: none"> • ბიბლიოთეკის ვებ გვერდი http://library.iliauni.edu.ge/chven-shesakheb/ • საერთაშორისო აკადემიური ბაზები, ბიბლიოთეკები, ჟურნალები და სხვა - http://library.iliauni.edu.ge/elibrary/sametsniro-bazebi/ • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი iliauni.edu.ge • არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა „არგუსი“ • სასწავლო კურსების შეფასების მექანიზმი • ინტერვიუების შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია ცოდნა და გაცნობიერების ნაწილში პროგრამის სწავლის შედეგის ფორმულირების გადახედვა და რეფორმულირება მათი გაზომვადობის გაუმჯობესების მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p> <p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი გენეტიკა“ მთავარი ამოცანაა სტუდენტებში ლიტერატურულ წყაროებთან მუშაობის, გენეტიკურ ლაბორატორიაში მუშაობისთვის აუცილებელი კვლევის თანამედროვე მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენების, კვლევებით მიღებული მონაცემების დამუშავებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარება. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები ჩართული არიან კვლევით პროექტებში, რომლებიც ხორციელდება ეკოლოგიის, ზოოლოგიის, ბოტანიკის ინსტიტუტებში, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის პრაქტიკული/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას და საშუალებას აძლევს მას განვითარებული უნარები გამოიყენოს სამაგისტრო ნაშრომის კვლევითი კომპონენტის შესრულებისას. სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ საქართველოს რეგიონებში წარმოდგენილი ბაზების (საველე სტაციონარები სტეფანწმინდაში, დედოფლისწყაროში და გრიგოლეთში), სამეცნიერო გემის - „წმინდა ილია“ ტექნიკურ რესურსი. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას ემსახურება პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსები. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ლაბორატორიული უსაფრთხოების დებულება და შესაბამისი ინსტრუქცია, რომელსაც სტუდენტები ეცნობიან ლაბორატორიული სამუშაოს დაწყებამდე, რაც დადასტურდა ინტერვიუს დროს აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან. დებულების მიხედვით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტებზე შექმნილია ლაბორატორიული უსაფრთხოების კომიტეტი, რომელიც არის კოლეგიალური ორგანო, მის შემადგენლობაში შედიან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის პროფესორები და მკვლევარები, რომლის დანიშნულებაც არსებული კვლევითი და სასწავლო ლაბორატორიების უსაფრთხოების წესების მონიტორინგი. ტრანსფერულ უნარებს შორის ხაზგასასმელია აკადემიური კეთილსინდისიერებისა და სამეცნიერო ეთიკის ნორმების დაცვა და მათი მნიშვნელობის გაცნობიერება. სტუდენტებში ამ უნარის განვითარებას ადასტურებს სამაგისტრო ნაშრომების პლაგიატზე Turnitin სისტემის გამოყენებით შემოწმების პროცესი. სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას უზრუნველყოფს პროგრამის მნიშვნელოვანი კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი, რომლის მიზანია</p>

<p>სტუდენტს განუვითაროს ეთიკის ნორმების დაცვით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი. ის ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნასა და ამ ცოდნის შექმნის მიზნით კვლევის უახლესი მიდგომების და მეთოდების გამოყენებაზე.</p> <p>პროგრამის შემადგენელი კომპონენტია „სამაგისტრო სემინარი“, რომელიც ითვალისწინებს მაგისტრანტის მიერ პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსების ათვისებისა და კვლევით პროექტებში მონაწილეობით შექმნილი უნარების გამოყენებით სამაგისტრო კვლევის დაგეგმვას ხელმძღვანელის რეკომენდაციების საფუძველზე და შემდგომში მისი დამოუკიდებლად განხორციელებას საბოლოო შედეგების მიღწევით. ხელმძღვანელი უზრუნველყოფს სტუდენტს კვლევაზე მუშაობის პროცესში საჭირო რესურსით; ეხმარება მას სამეცნიერო ლიტერატურასთან მუშაობის პროცესში; ასევე, მეთოდოლოგიის შერჩევასა და ოპტიმიზაციაში; რეგულარულად უწევს მას კონსულტაციებს. კვლევის განხორციელებისას სტუდენტი ხელმძღვანელს წარუდგენს კვლევის პროცესის შესახებ პროგრესის ანგარიშებს, რომელშიც აისახება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მის მიერ განხორციელებული კვლევითი აქტივობები და მიღწეული შედეგები. ამასთან, ანგარიშში სტუდენტი ახდენს კვლევითი პროცესის შეფასებას და განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს. ხელმძღვანელი აძლევს სტუდენტს უკუკავშირს კვლევის პროგრესთან და მიღებული შედეგების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით. აღნიშნული აღწერილია სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში, საკითხის შესახებ ვრცლად ისაუბრეს ინტერვიუს დროს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებმა.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები • სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია • ლაბორატორიული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქცია • სამაგისტრო ნაშრომის კვლევის ანგარიში • ინტერვიუს შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები</p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეული სწავლება/სწავლის მეთოდები სტუდენტზეა ორიენტირებული და იძლევა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული სწავლება/სწავლის მეთოდები შეესაბამება საფეხურს (მაგისტრატურა), კურსის შინაარსს, სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს განსაზღვრული შედეგების მიღწევას.</p> <p>პროგრამაში გამოყენებულია სწავლება/სწავლის შემდეგი მეთოდები: ლექციები და სემინარები; ლაბორატორიული სამუშაო; პრაქტიკული სამუშაო, მათ შორის ველზე; პროექტზე მუშაობა ინდივიდუალურად და ჯგუფებში; ანალიზი და სინთეზი; სუპერვიზია; რეფლექსია; დემონსტრირების მეთოდი</p> <p>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები“. აღნიშნული დოკუმენტი მიხედვით სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების, აგრეთვე საგანმანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში ხდება ინდივიდუალური</p>

<p>სასწავლო გეგმების შემუშავება. ასეთი სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სტუდენტთა განსხვავებულ მოთხოვნებს, მათ აკადემიურ მომზადებასა და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს, მოქნილ სასწავლო გეგმას, სწავლა-სწავლებისა თუ შეფასების სათანადო ფორმებსა და პირობებს.</p> <p>აკადემიური პერსონალი მართავს საკონსულტაციო შეხვედრებს სტუდენტებთან შეთანხმებით. ეს შეიძლება იყოს როგორც ჯგუფურად, ასევე ინდივიდუალურად საოფისე საათების ფარგლებში. კონსულტაციისთვის გამოიყენება არჩევანის უზრუნველყოფის სისტემა “არგუსი” ან კორპორატიული ფოსტა. აღნიშნული დაადასტურდა აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები • არჩევანის უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“ • საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები • ინტერვიუების შედეგები
<p>რეკომენდაციები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.6. სტუდენტების შეფასება</p> <p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასება ეფუძნება შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდობა, გამჭვირვალობა.</p> <p>უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით. სასწავლო კურსებში სტუდენტის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასებებისგან. პროგრამა ითვალისწინებს 5 სახის დადებით და 2 სახის უარყოფით შეფასებას:</p> <p>(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;</p> <p>(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</p> <p>(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</p> <p>(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;</p> <p>(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა, მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩააბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>(F) ჩაიჭრა, მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>პროგრამის შემადგენელ თითოეულ სასწავლო კურსში სწავლის შედეგების გასაზომად განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები. თითოეული სასწავლო კურსში სტუდენტი ფასდება შემდეგი კომპონენტით: შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა. შუალედური შეფასება სტუდენტის ცოდნის და უნარების შეფასებაა სემესტრის სალექციო-სასემინარო ან/და ლაბორატორიულ/პრაქტიკულ მეცადინეობებზე. შესაფასებლად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები, მაგალითად, წერითი დავალების შესრულება, კვლევითი პროექტის წარდგენა, რეფერატის/პრეზენტაციის მომზადება და ა.შ.</p> <p>შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციების ზღვარი.</p>
--

დასკვნითი შეფასებისთვის ეს ზღვარი არ აღემატება მისთვის განსაზღვრული ქულების 60%-ს. შეფასების სისტემა (კომპონენტები და მეთოდები) ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას და შეესაბამება სწავლის შედეგებს, რაც დასტურდება სწავლის შედეგების მიღწევადობით და აკადემიური მოსწრების ანალიზით. გარდა ამისა, შეფასება მრავალკომპონენტანია და თითოეული კომპონენტისთვის გაწერილია შეფასების კრიტერიუმები. სასურველი იქნება სასწავლო კურსებში დეტალურად გაიწეროს შეფასების რუბრიკები თითოეულ კომპონენტთან მიმართებაში. მაგალითად, სასწავლო კურსში „გენმოდულიცირებული ორგანიზმები და მათი დეტექცია საკვებში“ დასკვნითი შეფასება ითვალისწინებს პრეზენტაციის მომზადებას, რომელიც ფასდება 30 ქულით 6 კომპონენტის მიხედვით. თითოეული კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 5 ქულაა, მაგრამ სილაბუსში არ ჩანს შეფასებების გრადაცია.

სასწავლო კურსების სილაბუსებში გაწერილი შეფასების სისტემა ცნობილია სტუდენტისთვის არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა „არგუსის“ საშუალებით. გარდა ამისა, სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი პირველსავე ლექციაზე სილაბუსის გაცნობისას დეტალურად განიხილავს შეფასების სისტემას. ლექტორის მხრიდან მიწოდებული ინფორმაცია არ ეხება მხოლოდ სილაბუსის ამ ნაწილს, სტუდენტები გადიან კონსულტაციებს პროფესორებთან ყველა მათთვის საინტერესო საკითხთან მიმართებაში სასწავლო კურსის მსვლელობის დროს წინასწარ შეთანხმების საფუძველზე, როგორც მცირე ჯგუფებად, ასევე ინდივიდუალურად და ამისთვის იყენებენ არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემას „არგუსს“, ან საკონსულტაციო შეხვედრებს, ან კორპორატიულ ფოსტას და სრულყოფილად იღებენ ინფორმაციას სხვადასხვა დავალების შესრულების დროს მიღებულ შედეგებზე და რეკომენდაციებს შედეგების გაუმჯობესებისთვის.

ამასთანავე, როგორც წესი, ლექტორები უზრუნველყოფენ შეფასების უკუკავშირის მიღების შესაძლებლობას სტუდენტებისთვის, რაც მოქნილად ხორციელდება ელექტრონული მართვის სისტემის მეშვეობით და საშუალებას აძლევს სტუდენტს, თვალი ადევნოს და დროული რეაგირება მოახდინოს შედეგებზე.

ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესორულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესში გაწერილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში მოითხოვოს ნაშრომის გადახედვა.

უსდ-ს შემუშავებული აქვს სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის, პლაგიატზე შემოწმების, რეცენზირების, დაცვის, შეფასების წესები და კომპონენტები თავისი შეფასების კრიტერიუმებით. აღნიშნულ დოკუმენტში მითითებულია, რომ სამაგისტრო ნაშრომი ითვალისწინებს შემდეგ შეფასების კომპონენტებს: 1. ხელმძღვანელის შეფასება (პროექტის გეგმა და პროგრესის ანგარიშები) - 20 ქულა; 2. რეცენზენტის შეფასება - 50 ქულა. (თუ რეცენზენტი ორია, მაშინ ამ კომპონენტის შეფასება საშუალო არითმეტიკულს წარმოადგენდეს); 3. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა - 30 ქულა (სამაგისტრო ნაშრომის დაცვის ქულა წარმოადგენს წევრების მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულს). ინტერვიუს დროს პროგრამის და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებმა დეტალურად აღწერეს ის ეტაპები, რომელსაც გადის მაგისტრანტი სამაგისტრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის არჩევიდან სამაგისტრო ნაშრომის დაცვის ჩათვლით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს სასწავლო კურსების შეფასების მექანიზმი და კითხვარი. კვლევა ხორციელდება „არგუსის“ ელექტრონული გამოკითხვის მექანიზმის გამოყენებით. კვლევის სამიზნე ჯგუფს აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები წარმოადგენენ და ხორციელდება ყოველსემესტრულად, აკადემიური კალენდრით გათვალისწინებული საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე. სისტემა „არგუსი“ ასევე უზრუნველყოფს სტუდენტების აკადემიური მოსწრების შედეგების გენერირებას და მათ ვიზუალიზაციას დიაგრამების სახით, რისი დემონსტრირებაც მოხდა ექსპერტების უსდ-ში ვიზიტისას მატერილაუ-ტექნიკური რესურსების შეფასების დროს. კვლევის შედეგები (სტუდენტების გამოკითხვის და მათი აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები), გამოიყენება ლექტორების, პროგრამის ხელმძღვანელების და ფაკულტეტების მიერ პროგრამის კომპონენტების/სასწავლო კურსების დახვეწასა და განვითარებისთვის, სწავლების პროცესის გაუმჯობესებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები

<ul style="list-style-type: none"> • ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით/კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი - • არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“ • სასწავლო კურსების შეფასების მექანიზმი და კითხვარი • სტუდენტთა გამოკითხვის ინსტრუმენტი კურსების შეფასებისთვის • ინტერვიუების შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია სასწავლო კურსებში დეტალურად გაიწეროს შეფასების რუბრიკები თითოეულ კომპონენტთან მიმართებაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი იღებს სათანადო ინფორმაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესთან დაკავშირებით. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და აკადემიური მიღწევების მონიტორინგზე სტუდენტი ინფორმაციას იღებს სპეციალურად შექმნილი პროგრამული სისტემის "არგუსის" მეშვეობით, რომელიც საკმაოდ მოქნილია როგორც სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიური პერსონალისათვის. „არგუსის“ სისტემის მეშვეობით სტუდენტი დამოუკიდებლად რეგისტრირდება სასწავლო კურსებზე, იღებს ინფორმაციას კრედიტებისა და შეფასების შესახებ, სემესტრის ბოლოს ღებულობს მონაწილეობას ამა თუ იმ კურსის შეფასებაში. აკადემიური პერსონალის დატვრთვა ითვალისწინებს სტუდენტებთან საკონსულტაციო საათებს, რაც

<p>ასევე იყო აღნიშნული სტუდენტების და აკადემიური პერსონალის ინტერვიუებისას. სტუდენტსა და აკადემიური პერსონალის კომუნიკაცია დგება „არგუსის“ სისტემის მეშვეობით.</p> <p>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები ინფორმირებულები არიან გაცვლითი პროგრამებისა და კონფერენციების/კონგრესების შესახებ და აქვთ საშუალება მიიღონ მონაწილეობა, უნივერსიტეტის მხარდაჭერით, აღნიშნულ ღონისძიებებში. თუმცა სასურველია მეტი მუშაობა ამ მიმართულებით პროგრამის ფარგლებში უფრო მრავალფეროვანი გაცვლითი პროგრამების ორგანიზებისთვის.</p> <p>ასევე აღსანიშნავია, რომ დაწესებულება სისტემატურად აწვდის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ ვაკანსიებთან დაკავშირებით. ინტერვიუებისას აღნიშნული იყო, რომ რამოდენიმე სტუდენტი დღეს დასაქმებულია უნივერსიტეტის დახმარებით.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • თვითშეფასების ანგარიში; • საგანმანათლებლო პროგრამა; • ელექტრონული სისტემა “არგუსი” • ინტერვიუს შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>სასურველია პროგრამის ფარგლებში მეტი გაცვლითი პროგრამის ორგანიზება.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა</p>
<p>მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი გენეტიკა“ სტუდენტებს ყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები. დაწესებულების საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციის შესაბამისად მაგისტრანტის ხელმძღვანელი(ები) შეიძლება იყოს პროგრამაში ჩართული პროფესორი(ები), ასევე მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირი, რომელსაც აქვს შესაბამის მიმართულებაში/დარგში დოქტორის/მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და შესაბამის/მომიჯნავე საკითხების კვლევის გამოცდილება ან პრაქტიკული გამოცდილება (არანაკლებ 5 წლისა) ან/და შესაბამისი მიმართულების ან დარგის მკვლევარი, რომელსაც აქვს ბოლო ორი წლის განმავლობაში საერთაშორისო ბაზებში შემავალ ჟურნალებში პუბლიკაცია. პროგრამაში სამეცნიერო ხელმძღვანელების თანაფარდობა აქტიური სტატუსის მქონე მაგისტრანტების რაოდენობასთან არის 6/13.</p> <p>ხელმძღვანელის ძირითადი ვალდებულებაა დაეხმაროს სტუდენტს სამაგისტრო პროექტის შერჩევაში (სასურველია, პროექტი წარმოადგენდეს პროფესორის/დოქტორანტის/მკვლევარის/მოწვეული ლექტორის კვლევის რომელიმე კომპონენტს. პროექტი ასევე შეიძლება ემყარებოდეს სტუდენტის დამოუკიდებელ ინიციატივას), ასევე პროექტის მიმდინარეობისას, მისცეს სტუდენტს რჩევები, მითითებები პროექტთან დაკავშირებით და დროულად გაუწიოს მას კონსულტაციები წამოჭრილ საკითხებთან და პრობლემებთან დაკავშირებით და სხვა.</p> <p>მაგისტრანტს სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით სტუდენტი შეზღუდული არ არის და მას შეუძლია მისთვის საინტერესო საკვლევი თემა აირჩიოს. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას სტუდენტი თავად ირჩევს ნაშრომის ხელმძღვანელს.</p> <p>გამოყენებითი გენეტიკის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს აქვთ რეგულარული კონსულტაციები ხელმძღვანელებთან საკვლევი თემის სპეციფიკის გათვალისწინებით</p>

მტკიცებულებები/ინდიკატორები <ul style="list-style-type: none"> • სამაგისტრო პროექტისა და ნაშრომის დოკუმენტი; • პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები და კვლევები; • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

<p>4.1 ადამიანური რესურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/სამეცნიერო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამას ახორციელებენ მაღალი კვალიფიკაციის მქონე პირები, მათ გააჩნიათ მრავალწლიანი პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე უცხოეთში. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის ფუნქციები და დატვირთვა სრულადაა შესაბამისობაში საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, რომელიც რეგულირდება ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტში მოქმედი შიდა რეგულაციებით. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მაღალი კვალიფიკაციის დამადასტურებელია მათ მიერ</p>
--

წარმოდგენილი (დანართები „პუბლიკაციები“, „სამეცნიერო აქტივობები“) ბოლო 10 წლის მანძილზე გამოქვეყნებული 400-მდე სამეცნიერო ნაშრომის სია, სადაც ჯეროვნადაა ასახული ადგილობრივ თუ საერთაშორისო რეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ბულიკაციების ჩამონათვალი, მათ მიერ გამოქვეყნებული მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები.

აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრული დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, ასევე მათზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმატებით წარმართვას.

ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი გენეტიკა“ განხორციელებაში ჩართულა 18 პერსონალი, მათ შორის 15 აკადემიური და 2 მეცნიერი, ყველა მათგანი არის აფილირებული, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 5 უცხოელი პროფესორი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა (1 მოწვეული), მეცნიერთა ჩართულობა, უზრუნველყოფს როგორც სასწავლო პროგრამის განხორციელებას, ასევე შესაბამისი კვლევისა და მათთვის მინიჭებული სხვა ფუნქციების შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი (17/1), ლექტორებსა და მაგისტრანტებს შორის თანაფარდობა (18/13) უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მხოლოდ 1 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი. მიგვაჩნია რომ ქვეყანაში მაღალკვალიფიციური სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების სრულყოფის მიზნით, იქნებოდა ღირებული თუ პროგრამის განმახორციელებელი ღვაწლმოსილი პედაგოგები უფრო ინტენსიურად გამოიყენებდნენ ახალგაზრდა სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების ასისტენტობის შესაძლებლობებს.

პროგრამა წარმოდგენილია 2 ხელმძღვანელით: პროფ. კორტ ანდერსონი, რომელსაც გააჩნია მოლექულურ-გენეტიკური მეთოდების გამოყენების 35 წლიანი გამოცდილება, იგი 15 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა აიდაჰოს უნივერსიტეტის მოლექულურ-გენეტიკურ ლაბორატორიას და პროფ. დავით თარხნიშვილი, პოპულაციური გენეტიკის დარგში მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი მეცნიერი, სამეცნიერო პუბლიკაციების ციტირების მაღალი ინდექსით (h=14, Scopus მონაცემთა ბაზა; h=20, Google Scholar), მათ უდავოდ გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ისინი უშუალოდ არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის შესამუშავებლად გათვალისწინებულია ევროპის და ამერიკის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება, (დანართი „უცხოური ანალოგების სია“), მისი შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იყო საერთაშორისო ექსპერტის, ბონის უნივერსიტეტის პროფესორის, გერმანიის კანცლერის მრჩეველთა საბჭოს წევრის, ბონის ზოოლოგიური კვლევითი მუზეუმის და ევოლუციური ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის - პროფ. ბერნარდ მისოფის რეკომენდაციები. პროგრამის განხორციელებაში ჩართული მაღალი რანგის უცხოელი მეცნიერ-პედაგოგები, რომლებიც საგანმანათლებლო საქმიანობის პარალელურად ჩართულნი არიან უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო/კვლევით პროცესებში, უზრუნველყოფენ თანამედროვე სასწავლო გარემოს, კვლევაზე და მტკიცებულებებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის განხორციელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ხელმძღვანელების პირადი ფაილები;
- პროგრამაში ჩართული პერსონალის პირადი ფაილები: CV, პუბლიკაციები, საკონფერენციო ნაშრომები, კონკურსის მასალები, შრომითი ხელშეკრულებები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- აკადემიური პერსონალის პროგრამაში დატვირთვის სქემა;
- გასაუბრება აკადემიურ / მოწვეულ პერსონალთან;
- გასაუბრება მაგისტრანტებთან / კურსდამთავრებულებთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია პროგრამის განმახორციელებელი ღვაწლმოსილი პროფესორების მიერ ახალგაზრდა სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების ასისტენტობის შესაძლებლობების ინტენსიურად გამოყენება ქვეყანაში მაღალკვალიფიციური სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების სრულყოფის მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ში ფუნქციონირებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმი, რომელიც ეფუძნება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის“ მოთხოვნებს, აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით, რეგულარულად ხორციელდება პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და სამეცნიერო-საგანმანათლებლო შედეგების ანალიზი. მეცნიერის ყოველწლიური შეფასების კრიტერიუმები დაწვრილებითაა წარმოდგენილი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების წესი. აღნიშნული წესი არეგულირებს და ხელს უწყობს, როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე სტუდენტების დაფინანსების საკითხებს, საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში და ტრენინგებში მონაწილეობისთვის.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებისთვის აქტიური საქმიანობის მაჩვენებელია, უნივერსიტეტში არსებული მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSDC), რომელიც დაარსდა ERASMUS + პროექტის PRINTeL მხარდაჭერით, ცენტრის მრავალფეროვანი საქმიანობა დაწვრილებითაა წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში, ცენტრი უდავოდ ემსახურება უნივერსიტეტში დასაქმებული სამეცნიერო თუ საგანმანათლებლო პროცესებში ჩართული პერსონალის პროფესიულ განვითარებას.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამეცნიერო საბჭო, რომლის საქმიანობაც რეგულირდება შესაბამისი დებულებით, საბჭო სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურთან ერთად გეგმავს და მართავს უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის „დღის წესრიგს“, არეგულირებს და აფასებს საქმიანობის ხარისხს, ხელს უწყობს პერსონალის მეცნიერულ განვითარებას, ჩართულია უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო საგრანტო პროექტების მიმდინარეობის პროცესებში, რაც გულისხმობს შემდეგ სერვისებს: დახმარება საპროექტო განაცხადების მომზადებასა და წარდგენაში; საერთაშორისო კვლევითი კონსორციუმების ფორმირება; გრანტების ადმინისტრირებაში დახმარება; კვლევით ჯგუფებთან და დონორებთან ურთიერთობების გაღრმავება; საერთაშორისო სამეცნიერო და კვლევითი შეხვედრების ორგანიზება; საერთაშორისო კვლევით ინსტიტუტებთან და ცენტრებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა; ინფორმაციის გავრცელება საერთაშორისო შესაძლებლობების შესახებ.

შთამბეჭდავია უსდ-ის ბაზაზე მიმდინარე საგრანტო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მასშტაბები, რომელთა ფარგლებში მიმდინარეობს თანამშრომლობა მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო ინსტიტუციებთან, მაგალითის სახით შესაძლებელია ვახსენოთ, გერმანიის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტი - კავკასიის ცოცხალი სამყაროს გენეტიკური ბარკოდირება (CaBOL); ფოლქსვაგენის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი - Advanced Genomic Technology for the Caucasus Region. მიმდინარე საგრანტო პროექტების ფარგლებში წარმოდგენილი მჭიდრო კოლაბორაცია მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო-საგანმანათლებლო საზოგადოებებთან საფუძველია პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო, თუ მოწვეული პერსონალის პროფესიული ზრდისა.

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები როგორც ადგილობრივ, ასევე მსოფლიოს მრავალ წამყვან ინსტიტუციასთან. აღსანიშნავია უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფართო მასშტაბები, რისთვისაც უნივერსიტეტს გააჩნია, როგორც მატერიალურ-ტექნიკური, ასევე აკადემიური რესურსი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

<ul style="list-style-type: none"> • აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი მონაცემები • აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის სამოქმედო გეგმა • საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების წესი; • სტატისტიკური მონაცემები პერსონალის შესახებ • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი • აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი • ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები • ინტერვიუ აკადემიურ / მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>4.3 მატერიალური რესურსი</p> <p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ობიექტები საკმარისია პროგრამის თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის უზრუნველსაყოფად. კლინიკური ობიექტები, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, რომლებიც ფუნქციონირებენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე, არის სრულად აღჭურვილი ყველა აუცილებელი შესაძლებლობებით, ლაბორატორიული ტექნიკით და ბიოუსაფრთხოების (BSL 1; BSL 2) შესაბამისი დონეებით.</p> <p>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი გენეტიკა“ ფარგლებში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სწავლებას უახლესი ტექნიკით და რეაგენტებით. სრულად არის აღჭურვილი მოლეკულური გენეტიკის ლაბორატორია (PCR დანადგარები, ცენტრიფუგები, გენეტიკური ანალიზატორი ABI Genetic Analyzer, დნმ კონცენტრაციის გასაზომი აპარატურა და სხვა ხელსაწყოები), აღჭურვის პროცესშია გენომური ლაბორატორია (Illumina Miniseq x 2 და შესაბამისი აპარატურა); ასევე, უზრუნველყოფს სავსე გასვლებს ტრანსპორტით და ბაზებზე განთავსებით.</p> <p>ფუნქციონირებს ვივარიუმი, რომელიც გათვლილია მცირე ლაბორატორიული ცხოველებისა და ქორდიანების შენახვისა და გამრავლებისთვის. ვივარიუმი აღჭურვილია თანამედროვე, როგორც ღია, ასევე ინდივიდუალური ვენტილაციის ტიპის (IVC) გალიათა სისტემებით.</p> <p>უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებს აქვთ სრული წვდომა ეკოლოგიის, ზოოლოგიის, ბოტანიკის კვლევითი ინსტიტუტების რესურსებთან და აპარატურასთან; ასევე შეუძლიათ გამოიყენონ სავსე სტაციონარები სტეფანწმინდაში, დედოფლისწყაროში და გრიგოლეთში; სამეცნიერო გემი „წმინდა ილია“. სტუდენტს შეუძლია უნივერსიტეტის გამოთვლითი ცენტრის რესურსის გამოყენება.</p> <p>გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების ფარგლებში სტუდენტებს და ს/კ პერსონალს ეძლევათ საშუალება საჭიროების შემთხვევაში გამოიყენონ ქვეყნის წამყვანი ს/კ ცენტრების და ლაბორატორიების ინფრასტრუქტურა და შესაძლებლობები, მათ შორის: ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის, რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის, გ. ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის.</p> <p>უნივერსიტეტის კამპუსის ინფრასტრუქტურა მოიცავს: ბიბლიოთეკას (რომელიც წარმოდგენილია ათამდე სამკითხველო სივრცით), სპორტულ დარბაზს, კულტურის ცენტრს, კაფეტერიას, თანამედროვე პარკინგს, საკომფერენციო და კინოთეატრის დარბაზებს და სხვა.</p> <p>ბიბლიოთეკაში უახლესი სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურა წარმოდგენილია ფართოდ, როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული რესურსებით, მიუხედავად ამისა უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე</p>

<p>უხლესი ინგლისურენოვანი სახელმძღვანელო, ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია მხოლოდ ერთეული ბეჭდვითი ეგზემპლარის სახით. სასურველია, რომ ასეთი სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომი იყოს ელექტრონული ფორმითაც.</p> <p>აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისთვის დისტანციურად ხელმისაწვდომია საერთაშორისო აკადემიური ბაზები, როგორებიცაა: Scopus; Cambridge Journals; Britannica Encyclopedia და სხვა.</p> <p>ბიბლიოთეკის მიერ შემოთავაზებული სერვისებიდან ხაზი უნდა გაესვას ტრენინგებს: “სამეცნიერო ელექტრონული ბაზების გამოყენება” და “საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების გამოყენება”, აღნიშნული ტრენინგები უადვილებს მომხმარებელს საბიბლიოთეკო რესურსების სრულფასოვნად გამოყენებას.</p> <p>უნივერსიტეტში დანერგილია ელექტრონული ფოსტისა და არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსი”, სტუდენტი სასწავლო პროცესს გეგმავს არგუსის საშუალებით, სისტემა ეხმარება მათ უნივერსიტეტის სამსახურებთან კომუნიკაციაში, სასწავლო ცხრილის შედგენასა და სწავლის მიღწევების შესახებ ინფორმირებაში. უნივერსიტეტში, ასევე ფუნქციონირებს სწავლების ელექტრონული პორტალი “e-learning” და პროგრამა „TURNITIN“.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • წარმოდგენილი დოკუმენტაცია, თვითშეფასების ანგარიში • ვიზიტი უნივერსიტეტში ინფრასტრუქტურის და აღჭურვილობის დათვალიერების მიზნით • ონლაინ ჩართვები ლაბორატორიებიდან და ბიბლიოთეკიდან ინფრასტრუქტურის და აღჭურვილობის დემონსტრაციის მიზნით • ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები • ინტერვიუ აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან, ადმინისტრაციასთან • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>სასურველია სახელმძღვანელოები, რომლებიც ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ბეჭდვითი ვერსიის სახით, ხელმისაწვდომი იყოს ელექტრონული ფორმითაც.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</p>
<p>პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში ასახული შემოსავლების-გასავლების ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით. უნივერსიტეტის ხარჯვით ნაწილში ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი გენეტიკა“ განხორციელებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ითვალისწინებს, შრომის ანაზღაურების, ლიტერატურისა და სხვა საბიბლიოთეკო რესურსების, პროგრამული უზრუნველყოფის, ინფრასტრუქტურის განახლებისა და მოვლა-შენახვის, სასწავლო მასალების, ექსპედიციების/სასწავლო პრაქტიკის, საკონფერენციო, საოფისე, ინტერნაციონალიზაციის და სხვა პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ ხარჯებს.</p> <p>პროგრამის ადმინისტრირება ხორციელდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალის მიერ.</p> <p>აღსანიშნავია, რომ გარდა საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან დაფინანსებული თემატიკებისა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა წარმოდგენილია, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო საგრანტო პროექტებით, რომელთა დაფინანსების წილი ცალსახად ისახება უნივერსიტეტის</p>

ფინანსურ შემოსავლებში.
 პროგრამაში გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტის, სავლე და ლაბორატორიული სამუშაოების უზრუნველყოფა ხდება უნივერსიტეტში არსებული კვლევითი ინსტიტუტების და ლაბორატორიების ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებით.
 კვლევით ინსტიტუტებს აქვთ ბიუჯეტი, რომლის ფარგლებში ხდება საჭირო ხარჯების გაწევა. პროგრამაში ჩართული პროფესორები მონაწილეობენ სხვადასხვა სამეცნიერო ფონდების მიერ გაცემულ გრანტებში, რომლის ბიუჯეტიდან ხდება აგრეთვე კვლევისათვის საჭირო რესურსის შექმნა. ასევე, საჭიროების შემთხვევაში სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისთვის აუცილებელი სავლე გასვლების და ხარჯვადი მასალის შექმნა ხდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი
- გამოყენებითი გენეტიკის (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი
- გამოყენებითი გენეტიკის (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამის წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შიდა შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში სწავლებაში ჩართული

პერსონალისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ურთიერთთანამშრომლობის პროცედურები და შეფასების მექანიზმები აღწერილია უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციასა და პროგრამის განხორციელების შეფასების წესში.

შიდა შეფასებას ახორციელებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის ფუნქციები განსაზღვრულია ფაკულტეტის დებულებით და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ემსახურება უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას. აღნიშნული პროცესების ფარგლებში გამოიყენება სისტემური და საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევები/შეფასებები, რომელთა შედეგებზე დაყრდნობით მიიღება გადაწყვეტილებები დაწესებულების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის.

დაწესებულებას აქვს პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამით კმაყოფილების კვლევის მექანიზმი, სტუდენტების და ლექტორების მიერ სერვისების შეფასების მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს პროგრამაში ჩართული პერსონალის მხრიდან თანამშრომლობას შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან.

პროგრამის ხელმძღვანელები კოორდინაციას უწევდნენ თვითშეფასების ჯგუფისა და პროგრამის სამუშაო ჯგუფის მუშაობას. პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია, კოორდინირება გაუწიოს პროგრამის შემუშავების, განხორციელების, განხორციელების მონიტორინგისა და შეფასებისა და განვითარების პროცესებს. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუებაზე გამოვლენილი ინფორმაციით, ასევე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ოქმების მიხედვით, თვითშეფასების პროცესში პროგრამის სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე განხილული იქნა პროგრამის შემდგომი განვითარებისა და მოდიფიკაციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები. ასევე სწავლის შედეგების მიღწევადობის დასადგენად პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდებით მოგროვებული მონაცემები. მოხდა სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა, აგრეთვე პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის და დასაქმების მაჩვენებლის ანალიზი. პროგრამის ხელმძღვანელებმა სწავლებაში ჩართულ პერსონალთან და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად შიდა თვითშეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით შეგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიმუშავეს შიდა თვითშეფასების ანგარიში, რომელიც მოიცავს საანგარიშო პერიოდში თვითშეფასების შედეგად გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზსა და ანალიზის საფუძველზე პროგრამული ცვლილებების პაკეტს.

პროგრამის თვითშეფასების პროცესის მიზნებისთვის გამოყენებული იყო სხვადასხვა დაინტერესებული მხარისგან მიღებული უკუკავშირი: უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მიღებული პროგრამის კოლეგიალური შეფასება და რჩევები; უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევები (სტუდენტების და კურსდამთავრებულების გამოკითხვები); დამსაქმებლის მიერ პროგრამის შეფასება (ფოკუს-ჯგუფი); უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უკუკავშირი პროგრამის შესახებ. აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების ანგარიში აღწერს ძირითად პროცესებს და იძლევა სათანადო ინფორმაციას, რაც საჭიროა ანალიზისა და შეფასებისთვის, თუმცა სასურველია თვითშეფასების ანგარიშში უფრო ფართოდ იქნას წარმოდგენილი ანალიტიკური ნაწილი.

თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად განხორციელდა მთელი რიგი აქტივობები და შევიდა ცვლილებები პროგრამაში: რეაკრედიტაციის მიზნებისთვის წარდგენილ ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაში „გამოყენებითი გენეტიკა“ განახლდა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები თანამედროვე ტენდენციების, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის, სტუდენტების და კურსდამთავრებულების, და დამსაქმებლების მოსაზრებების გათვალისწინებით. სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, განახლდა პროგრამის სტრუქტურა და შემუშავდა პროგრამის კურიკულუმი რუკას, რომელიც მკაფიოს ხდის სწავლის შედეგების კავშირს პროგრამის შემადგენელ კომპონენტებთან და პროგრამის საერთო დიზაინს სწავლის 7 შედეგების მიღწევის თვალსაზრისით.

სტუდენტებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე გადაიხედა სასწავლო კურსებში გათვალისწინებული საათობრივი დატვირთვა, დარგში არსებული თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით განახლდა სასწავლო რესურსები. მნიშვნელოვნად განახლდა სასწავლო კურსების სილაბუსები - მოხდა შინაარსის განახლება თანამედროვე ტენდენციებისა და დამსაქმებლების მოთხოვნების გათვალისწინებით. გადაიხედა სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცედურები და შეფასების კრიტერიუმები.

ინტერვიუების პროცესში აღინიშნა, რომ პროგრამა თავდაპირველად უფრო მეტად იყო

ორიენტირებული იმ კვლევებზე, რაც უნივერსიტეტში ტარდება ბიომრავალფეროვნების კუთხით, თუმცა დამსაქმებლების მოთხოვნებიდან გამომდინარე ფოკუსში მოხვდა ბიოსამედიცინო მიმართულებით კვლევები. დაემატა სასწავლო კურსები ბიოინფორმატიკის, ბიოქიმიის მიმართულებით. რადგან პროგრამაზე არ არის ჩარიცხული ბევრი სტუდენტი, ამიტომ პერსონალს ახლო კავშირი აქვთ სტუდენტებთან და ცნობილია მათი მოსაზრებები, იქმნება სტუდენტთა ფოკუს ჯგუფები პროგრამის სამომავლო განვითარების მიზნით მათგან უკუკავშირის მიღების მიზნით. ამასთან, პროგრამაში ჩართული პერსონალი იყენებს ხარისხის სამსახურის გამოკითხვების შედეგებს. გამრავალფეროვნდა და გაუმჯობესდა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი. კერძოდ, უნივერსიტეტის სახსრებით განახლდა გენეტიკური ანალიზატორი ABI Genetic Analyzer, მიმდინარე კვლევითი გრანტების დაფინანსებით შეძენილია აღჭურვილობა გენომური კვლევებისთვის - ხელსაწყო Illumina Miniseq მეორე თაობის გენეტიკური კვლევისთვის, შეძენილია დამატებითი ცენტრიფუგები და PCR დანადგარები, აღიჭურვა დამატებითი გენომური ლაბორატორია.

გაიზარდა ხელმისაწვდომი ელექტრონული სამეცნიერო ბაზებისა და წიგნად ფონდში შემავალი ლიტერატურის რაოდენობა, დაინერგა სწავლებისა და შეფასების ელექტრონული ინსტრუმენტები, მათ შორის: eLearning და Turnitin, გაუმჯობესდა და კიდევ უფრო მრავალფუნქციური გახდა არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა-„არგუსი“. ელექტრონულ სისტემაში „არგუსი“ შესაძლებელი გახდა პროგრამის შეფასების/კვლევის მონაცემებისა და სტუდენტთა აკადემიური მიღწევების სისტემურად დამუშავება და გრაფიკულად გამოსახვა, სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღების შესაძლებლობა. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფაში დაწესებულება ეყრდნობა პრინციპს - "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე".

პროგრამის განხორციელებაში ჩართული დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები ადასტურებს, რომ გადაწყვეტილება პროგრამის შინაარსთან დაკავშირებით მიიღება კოლეგიალურად პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ. პროგრამის კომპონენტების შინაარსის განსაზღვრა ხდება საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილებით და პროგრამაში ჩართული პერსონალის გამოცდილების მიხედვით.

პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. კერძოდ: პროგრამის ხელმძღვანელებმა და აკადემიურმა პერსონალმა განსაზღვრა პროგრამის შინაარსობრივი ნაწილი, ჩამოყალიბდა სავალდებულო და არჩევითი კურსების კატეგორიები, განისაზღვრა თუ რა ცოდნა და უნარები უნდა ჰქონოდათ კურსდამთავრებულს და რა კურსები სჭირდებოდათ მათ ამ შედეგებზე გასასვლელად, ასევე, რა ზოგადი ცოდნა უნდა მიეცა პროგრამას მათთვის. გათვალისწინებული იქნა დამსაქმებელთა ფოკუს ჯგუფის გამოკითხვის შედეგები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევის ინსტრუმენტები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები;
- ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა;
- ფაკულტეტის დებულება;
- ელექტრონული სისტემა „არგუსი“;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- პროგრამის შემუშავების წესი;
- პროგრამების ხელმძღვანელის საქმიანობის წესი;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები;
- პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგები;
- პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს შედეგები;
- დაწესებულების/ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია თვითშეფასების ანგარიშში ფართოდ იქნეს წარმოდგენილი ანალიტიკური ნაწილი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის გარე შეფასების ინსტრუმენტად გამოყენებულია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა შეფასება და შესაბამისი დასკვნა. გათვალისწინებულია 2018 წელს აკრედიტაციის მიღების მიზნით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის (გამოყენებითი გენეტიკა, სწავლების ენა-ინგლისურ) შეფასებისას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში (შეფასების თარიღები: 2017 წლის 30 ნოემბერი-1 დეკემბერი) გაცემული რჩევა სასწავლო კურსებში საკონტაქტო საათების გაზრდის თაობაზე. 2017 წელს გარე შეფასებისას აკრედიტაციის ექსპერტებს რეკომენდაციები არ გაუციათ. გარე შეფასების მიზნით პროგრამის განახლების პროცესში გამოყენებულია, ასევე, 2012 წელს ანალოგიურ ქართულენოვან პროგრამაზე აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გამოთქმული რეკომენდაციები. 2012 წელს აკრედიტაციის ექსპერტთა და აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების ნაწილი დღეისათვის ვალიდური აღარ არის უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კლასიფიკატორის ცვლილების გამო, ხოლო დანარჩენი რეკომენდაციები გათვალისწინებულია ინგლისურენოვანი პროგრამის განახლების პროცესში. გარე შეფასების ერთგვარ ინსტრუმენტს წარმოადგენს დაწესებულების მხრიდან უცხოური საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მიღებული შეფასება/მხარდაჭერის წერილი პროგრამის შესახებ. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და დიზაინის შემუშავებისა და დახვეწის პროცესში გათვალისწინებული იყო უცხოელი კოლეგის, ბონის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორის, გერმანიის კანცლერის მრჩეველთა საბჭოს წევრის, ბონის ზოოლოგიური კვლევითი მუზეუმისა და ევოლუციური ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის რეკომენდაციები. აღსანიშნავია, რომ უცხოეთიდან მიღებული გამოხმაურებები წარმოაჩენენ პროგრამის მაღალ შეფასებას, თუმცა სასურველი იქნება გარე შეფასების უფრო სტრუქტურული სახით წარმოდგენა. ამისათვის სასურველია დაწესებულების მიერ დარგის სპეციალისტებიდან, უცხოური/ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და დამსაქმებლებიდან მისაღები გარე შეფასების წინასწარ განსაზღვრული ფორმის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შეფასების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები <ul style="list-style-type: none"> აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ - გამოყენებითი გენეტიკა (სწავლების ენა-ინგლისური), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (შეფასების თარიღები: 2017 წლის 30 ნოემბერი-1 დეკემბერი); საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი #10, 21.02.2018; 2012 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა/ოქმი; უცხოური საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მიღებული შეფასება და მხარდაჭერის წერილი; დაწესებულების თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია დაწესებულების მიერ დარგის სპეციალისტებიდან, უცხოური/ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მისაღები გარე შეფასების წინასწარ განსაზღვრული ფორმის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შეფასების მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</p> <p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>შიდა ხარისხის სისტემური კვლევების/შეფასებების მეშვეობით ხდება პროგრამის (სწავლა-სწავლების), კვლევის, სერვისების, რესურსების შეფასება განსაზღვრული პერიოდულობით. სისტემური კვლევები იძლევა მონაცემების შეგროვების, დინამიკაზე დაკვირვებისა და განვითარების ტენდენციების განსაზღვრის შესაძლებლობას.</p> <p>დაწესებულებას აქვს ხარისხის შეფასების ინსტრუმენტები: პროგრამის შეფასების, სასწავლო კურსის შეფასების, კურსდამთავრებულთა გამოკითხვის მექანიზმი, დასაქმების კვლევა-მექანიზმი, დამსაქმებლების მიერ პროგრამის შეფასების მექანიზმი, ასევე, შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები. გაწერილია საჩვენებელი და სემესტრული ლექციების კოლეგიური შეფასების და განვითარების კონცეფცია და შესაბამისი პროტოკოლები. დაწესებულებას აქვს სასწავლო პროცესში ჩართულ მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი და აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი. დაწესებულებაში ჩატარებულია: გამოყენებითი გენეტიკის სამაგისტრო პროგრამის კვლევა/ შეფასება- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოცდილება (2021 წ.) საუნივერსიტეტო სერვისების კვლევა (2019 წ.), პროგრამით კმაყოფილების კვლევა (2020), ლექტორთა სერვისებით კმაყოფილების კვლევა (2019 წ. და 2017 წ.), სამაგისტრო ნაშრომების კვლევა (2018წ.) და წარმოდგენილია შესაბამისი ანგარიშები.</p> <p>დაწესებულება ყოველსემესტრულად ატარებს კვლევებს ელექტრონული პროგრამის „არგუსის“ საშუალებით. იღებენ უკუკავშირის სტუდენტებისგან პროგრამის შესახებ, სასწავლო კურსების შესახებ, ლექტორების შესახებ და სხვ. ასევე, თვითშეფასებებისთვის იყენებენ ყოველწლიურ გამოკითხვებს, დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტების გამოკითხვებს და კურსდამთავრებულების გამოკითხვებს. მეოთხე მხარე შეფასებისას არის კოლეგიალური შეფასება. გამოყენებულია საერთაშორისო ექსპერტის მიერ პროგრამის კოლეგიალური შეფასება. დაწესებულების წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან ინტერვიუებაზე გამოვლენილი ინფორმაციით, ასევე დაწესებულების სასწავლო პროცესის მართვის სისტემის სტუდენტური ინტერფეისის დემონსტრირების საფუძველზე, დგინდება, რომ სტუდენტებს ეკითხებიან დაწესებულების მიერ მიწოდებული სერვისების შესახებაც. „არგუსში“ ჩანს სასწავლო კურსების სტუდენტების გამოკითხვის შედეგები. წვდომა აქვს ლექტორს და ადმინისტრაციას. დაწესებულების ადმინისტრაცია ახორციელებს გამოკითხვის შედეგების მონიტორინგს. დაწესებულება იყენებს ორდონიან შეფასებას: მიკრო დონეზე ხდება გამოკითხვები სასწავლო კურსის დონეზე, ხოლო მაკრო დონეზე-მთლიანად პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება.</p> <p>დაწესებულების წარმომადგენლებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებაზე გამოვლენილი ინფორმაციით, ასევე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასებისა და შესაბამისი დანართების განხილვის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ დაწესებულება ატარებს პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასებასაც. პერსონალი თვითშეფასებას ავსებს ყოველწლიურად. წარმოდგენილი თვითშეფასებების ანალიზის შედეგად ხორციელდება დაწესებულების მხრიდან კვლევითი საქმიანობის შედეგების შეფასება. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავებული რჩევებისა და რეკომენდაციების საშუალებით დაწესებულება ეხამრება პერსონალს სწავლებისა და სამეცნიერო აქტივობების გაუმჯობესებაში.</p>
--

როგორც დაწესებულებისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებმა ინდივიდუალურად გაუწიეს კონსულტაციები პროგრამაზე მომუშავე ჯგუფს სწავლის შედეგების ფორმირებასთან დაკავშირებით, სწავლის შედეგების ფორმირება მოხდა იმგვარად, რომ ყოფილიყო კომპეტენციებზე ორიენტირებული, კომპლექსური და გაზომვადი. პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებისას არჩეულია აკრედიტაციის სარეკომენდაციო სახელმძღვანელოდან განსხვავებული მიდგომა, რომელიც ეფუძნება განსხვავებულ მეთოდურ მითითებებს და საერთაშორისო პრაქტიკას. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ დაწესებულებამ შეისწავლა საერთაშორისოდ აღიარებული სხვა მიდგომებიც, შესაბამისი პრაქტიკაც, მოახდინა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების დადარება უცხოურ ანალოგებთან. აღნიშნული შესწავლის საფუძველზე დაწესებულება მივიდა დასკვნამდე, რომ სწავლის შედეგის შეფასება უნდა მოხდეს საბოლოო შეფასებით, როცა სწავლის შედეგები არის კუმულირებული, არ არის საჭირო შედეგების ფრაგმენტაცია. სწავლის შედეგების გასაზომად სამიზნე ნიშნულების დადგენა ახალი მიდგომა არის და ამ კუთხით პროგრამას ჯერ კიდევ გასავლელი აქვს გრძელი გზა, რომ ეს მიდგომა გახდეს დამკვიდრებული პრაქტიკა. ეს ჯერჯერობით საკმაოდ მნიშვნელოვანი გამოწვევაა პროგრამის შეფასების ნაწილში. ამ პროგრამისთვის სამიზნე ნიშნულები პირველად მხოლოდ ახლა იყო შემუშავებული და საჭიროებს მომავალში ადაპტირებას.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისას დაწესებულება ამ ეტაპზე არ აკეთებს სასწავლო კურსების დიფერენცირებას სირთულის მიხედვით. დაწესებულებას პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით იყენებს ე.წ. საბაზისო მოდელს. დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი საბაზისო მოდელი უზრუნველყოფს სწავლის შედეგის შეფასებასა და გაზომვადობას, თუმცა, სასურველია, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შემდგომი განვითარება სწავლის შედეგის მიღწევის დონისა და სასწავლო კურსების სირთულის (გაცნობითი, გამაღრმავებელი და განმამტკიცებელი კურსი) მიხედვით დიფერენცირების გათვალისწინებით. ამასთან, სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევის შესაფასებლად განისაზღვროს არა სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება, არამედ შეფასების კონკრეტული მეთოდით განსაზღვრულ აქტივობაში მიღებული შეფასება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ფაკულტეტის დებულება;
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კვლევის ინსტრუმენტები;
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კვლევის ანგარიშები;
- ელექტრონული სისტემა არგუსი;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- პროგრამის შემუშავების წესი;
- პროგრამის განხორციელების შეფასების წესი;
- ანალოგიური უცხოური პროგრამების სია;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები;
- პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები;
- პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს შედეგები;
- დაწესებულების/ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია პროგრამის პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში გათვალისწინებული იქნას სწავლის შედეგის მიღწევის დონისა და სასწავლო კურსების სირთულის მიხედვით დიფერენცირება. ამასთან, პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევის შესაფასებლად განისაზღვროს არა სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება, არამედ შეფასების კონკრეტული მეთოდით განსაზღვრულ აქტივობაში მიღებული შეფასება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>
--

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
სსიპ- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
„გამოყენებითი გენეტიკა“ (ინგლისურენოვანი), მაგისტრატურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 30

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნათია ლაჭავაძე

ნ. ლაჭავაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

მაგდა ალანია

მ. ალანია

ია ნაცვლიშვილი

ი. ნაცვლიშვილი

ლანა ბოკუჩავა

ლ. ბოკუჩავა

ლევან ციციშვილი

ლ. ციციშვილი